ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N17

2024 წლის 30 მაისი
ქ. ონი

ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - ერთი ერთეული სპეციალიზებული ნარჩენების გადამზიდი მანქანის შპს ,,ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-მუხლის პირველი და მეორე პუნქტების და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

1. მიეცეს თანხმობა ონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - ერთი ერთეული სპეციალიზებული ნარჩენების გადამზიდი მანქანა IVECO EUROCARGO ML 150E25W (სახელმწიფო ნომერი GG678XG, გამოშვების წელი 2023, საიდენტიფიკაციო ნომერი ZCFB51LJ802747363, ღირებულება - 430630.00 (ოთხას ოცდაათი ათას ექვსა ოცდაათი) ლარი, ფერი - თეთრი) შპს „ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემაზე.

2. განკარგულება ძალაშა მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზაჩანა მარკოიშვილი